ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3251310

ნომერი: AR1501122

თარიღი : 04.05.2017

გაცემის თარიღი : 22.05.2017

გაცნობის თარიღი : 23.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლევან ღოღობერიძის ქუჩა N67ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ბექაია პ/ნ 01011022232
- თბილისი დუშეთის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 04 მაისის AR1501122 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ლევან ღოღობერიძის ქ. N67ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის მიხედვით, როდესაც ხორციელდება 7000 მ2 (0.7 ჰა) და მეტი ფართობის მქონე ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენება სავალდებულოა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავება. განაშენიანების რეგულირების გეგმა - წარმოადგენს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. აღნიშნულის განსახორციელებლად განაცხადი უნდა ატვირთოთ ელექტრონული განცხადებები->მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები->განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დამატებით გაცნობებთ, რომ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება თუ ის ეხება მშენებლობას. ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზის არსებობიდან გამომდინარე წარმოდგენილი და გაითვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს რკინიგზის პოზიცია.

ვინაიდან ნაკვეთის ფართობიდან გამომდინარე ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება საჭიროებს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამუშავებას სამსახურიმოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 04 მაისის AR1501122 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.